პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 110 (3087) 9

1966 წ. ივნისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი

## ოსტატები!

სპორტულ ტანვარჯიშში საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადაში მაღალი შედეგებით გვახარეს ოსტატთა პროგრამით მოასპარეზე გოგონებმა.

* * *

სურათზე: პირველ რიგში (მარცხნიდან) — გ. ბზიკაძე, ლ. ჩიტიშვილი, ლ. გათენდაშვილი, გ. ლიპარტიანი; მეორე რიგში — ნ. ბიკოვა. რ. ბერიკაშვილი, მ. ჩახიანი და რ. ჯინჯარაძე. ამ ნორჩმა ტანმოვარჯიშეებმა სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს.

ფოტო ი. იუნაევისა.

შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.



XXIV პარტია

## მოსალოდნელია მწვავე ბრძოლა

ჭადრაკის სამეფო ტახტი

მოსკოვი 1966

მოსკოვი, 8 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს ესტრადის თეატრში გაიმართა პეტროსიან — სპასკის მატჩის ბოლო, XXIV პარტია.

სპასკიმ ლაზიერის პაიკის წინსვლაზე ძველინდური დაცვით უპასუხა, მაგრამ იგი ორიგინალურად გაითამაშა: თავისი ფიგურები მეტოქის ძალებთან შეტაკებას მოარიდა და აქტიურად განალაგა ისინი. პეტროსიანმა მხარი აუბა პრეტენდენტს — მისმა ფიგურებმაც საბრძოლო პოზიციები დაიკავეს. მაგრამ იგრძნობოდა მსოფლიო ჩემპიონის ტერიტორიული უპირატესობა.

პირველი გაცვლები მე-19 სვლაზე მოხდა, მაგრამ ამას არ დაურღვევია პეტროსიანის პოზიციური უპირატესობა, თუმცა სპასკიმ კონტრთამაში შექმნა.

შემდგომ მეტოქენი განაგრძობდნენ მანევრირებას. ხელსაყრელ მომენტში პეტროსიანმა აამოძრავა თავისი ცენტრალური პაიკი და კიდევ უფრო შეავიწროვა სპასკის პოზიცია. პარტია არ დამთავრებულა. მსოფლიოს ჩემპიონს შესამჩნევი უპირატესობა აქვს, მაგრამ მოსალოდნელია მწვავე ბრძოლა.

ამრიგად, ხვალამდე ისევ რჩება XXIII პარტიის ანგარიში — 12:11 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ. 9 ივნისს მოხდება XXIV პარტიის დამთავრება.

აი, პარტიაც:

**პეტროსიანი — სპასკი**

ძველინდური დაცვა

**1. d4 მf6 2. c4 g6 3. g3 კg7 4. კg2 0—0 5. მc3 d6 6. e3 მbd7 7. მge2 a6 8. b3 ეb8 9. a4 a5 10. კa3 c6 11. 0—0 ლc7 12. ლd2 ეe8 13. ეac1 ეa8 14. ეfd1 მb8 15. h3 მa6 16. მფh2 h5 17. f4 მb4 18. ეf1 e5 19. fe fe 20. d5 ეd8 21. e4 მd7 22. ეb1 მc5 23. მa2 მba6 24. ლe3 ლb6 25. მec1 ლa7 26. მd3 მ:d3 27. ლ:d3 ეe8 28. ეb2 მc5 29. ლe3 მd7 30. ლc1 ლb6 31. ეbf2 f6 32. ეf3 ლd8 33. მc3 მf8 34. ლc2 მh7 35. ეd3 ლc7 36. ლe2 კh6 37. h4 კf8 38. d6 ლf7 39. კh3 კ:h3 40. მფ:h3 ეed8.** პეტროსიანმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

სსრ კავშირის პირველობა

## გარდატეხა?..

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 8 ივნისი.

„დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი) 3:0 (0:0).

„დინამო": ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჰელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, ბარქაია, იამანიძე, მესხი.

„ზენიტი": ვოსტროილოვი, ნეპომილუევი, რუდი, ალამი, სადირინი, ნაუმოვი, ზავიდონოვი, გუსევი, ვარლამოვი (რიაზანოვი), ბურჩალკინი, ვასილიევი.

მსაჯი ა. მუგურდუმოვი (კიევი).

გამოდგება თუ არა ლენინგრადის „ზენიტი" იმის საზომად, რომ დარწმუნებულად ვილაპარაკოთ თბილისელთა მიერ გუშინ დიდი ანგარიშით მოგებული თამაშის ხარისხზე? ძნელი სათქმელია. „ზენიტი" ჩვენი მეზობელია გათამაშების ცხრილში და მაინცდამაინც ვერ დაიკვეხნის თავისი წლევანდელი მაჩვენებლებით. მას ჩავარდნა უფრო მეტი აქვს, ვიდრე წარმატებები, ამიტომ ანგარიში 3:0 თბილისელთა სასარგებლოდ ამ შემთხვევაში არ გამოდგება საიმისო არგუმენტად, რომ კატეგორიულად ვთქვათ ჩვენს გუნდში მომხდარ გარდატეხაზე.

შეცდომები დინამოელთა თამაშში იყო და საკმარისადაც. ურუშაძეც კი, რომელიც სეზონის დაწყებიდანვე ყველაზე სტაბილურ ფორმაში იყო, ნერვიულობდა, ვერ ირჩევდა ადგილს, აყოვნებდა. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბურთი ორჯერ მოხვდა კარის ძელს, ურუშაძე კი არც ერთხელ არ იყო მზად მის მისაღებად. შეუთანხმებლობა იგრძნობოდა სტოპერების მოქმედებაში, დაცვის მარჯვენა ფლანგზე, უზუსტო გადაცემები ჰქონდათ ნახევარმცველებს, ხოლო თავდასხმაში კვლავ ინდიფერენტულად გამოიყურებოდა ბარქაია.

და მაინც, გუშინდელი მატჩი თბილისელებმა უკეთ ჩაატარეს, ვიდრე ადრინდელები. მოთამაშეებმა მეტი დატვირთვა აიღეს თავიანთ თავზე, შესამჩნევი იყო თავდასხმის აგრესიულობა, რომელიც წლეულს პირველად გამოვიდა მინდორზე ვეტერანთა სრული შემადგენლობით.

პირველი ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ, მაგრამ ეს არ იყო მშვიდობიანად გატარებული 45 წუთი. ორივე კართან საკმაოდ იყო სახიფათო მომენტები, რომლებიც არ იქნა რეალიზებული თავდამსხმელთა მიერ.

ანგარიში გაიხსნა 50-ე წუთზე. გოლის ავტორი გამოდგა დათუნაშვილი, რომელმაც სადირინთან მძიმე ბრძოლაში თავით გაიტანა ბურთი. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს გოლის თანაავტორი მესხი. ისევე, როგორც წინა მატჩში მინსკის „დინამოსთან", მესხმა გუშინაც შესანიშნავად ითამაშა და მოწინავე როლი შეასრულა თავისი გუნდის საერთო გამარჯვებაში.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია მეორე გოლი. ლენინგრადელებს თითქოს სახიფათო არაფერი ელოდათ, ვინაიდან მესხი და იამანიძე ფლანგზე რაღაც მეორეხარისხოვანი კომბინაციით იყვნენ გართული. აქედან ბურთი გადაეცა თავისუფალ ადგილზე კარიდან დიდი დაცილებით წამოსულ ცხოვრებოვს. ვინ იცის, ამ სიტუაციაში რამ უკარნახა მცველს კარში დაერტყა ბურთი. ალბათ, ინტუიციამ. მაგრამ დარტყმა ბრწყინვალე გამოდგა და ვოსტროილოვმა თავისი რთული ფუნქციების მხოლოდ სამწუხარო ნაწილის შესრულება შეძლო: ბადიდან ბურთის გამოტანა.

მესამე გოლი კვლავ მესხი — დათუნაშვილის „დუეტის" შემოქმედება გამოდგა. გარემარბებმა სწრაფად გაითამაშეს ერთმანეთს შორის ერთსვლიანი კომბინაცია და დათუნაშვილმა ზუსტად გაგზავნა ბურთი კარში. ეს თბილისის „დინამოს" პირველი გამარჯვებაა წლევანდელ სეზონში დიდი ანგარიშით.

ბ. ქორქია.

## ქუთაისელთა წარმატება

მინსკი. ცენტრალური სტადიონი. 8 ივნისი.

„დინამო" (მინსკი) — „ტორპედო" (ქუთაისი) 2:2 (1:2).

„დინამო": გლუხოტკო (ფროლოვი), კოლტუნოვი, ზარემბო, რიომინი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, პოგალნიკოვი, ადამოვი, მუსტიგინი, ვასილიევი, კაბერსკი.

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წვერავა, ებრალიძე, ძოძუაშვილი, კუტივაძე, ზარია, ვეკუა, ჩხარტიშვილი, გ. ნოდია, ქითანავა.

მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

მატჩის ფრედ დამთავრება ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორიც მინსკის „დინამოა" და ისიც მის მინდორზე, ქუთაისელ ფეხბურთელთა მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს. აღებულია მეტად საჭირო ქულა, რომელიც საშუალებას აძლევს გუნდს შეინარჩუნოს პოზიციები გათამაშების ცხრილში.

ტორპედოელებმა აქტიური თამაში აირჩიეს თავიდანვე. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს მეტოქის კართან და ვეკუამ მე-20 წუთზე გახსნა ანგარიში. მართალია, მცირე ხნის შემდეგ კაბერსკიმ გაქვითა გოლი, მაგრამ ტაიმის დასასრულს გ. ნოდიამ კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1.

განსაკუთრებით დაძაბული იყო ბრძოლა მეორე ტაიმში. მასპინძლებმა შეძლეს წონასწორობის აღდგენა (გოლი გაიტანა ვასილევმა) და მატჩი დამთავრდა ფრედ.

„ა" კლასი I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 9 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 10 | 8 | 2 | 0 | 25—2 | 18 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 11 | 6 | 3 | 2 | 13—6 | 15 |
| ასკ (როსტოვი) | 10 | 7 | 1 | 2 | 21—16 | 15 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 10 | 3 | 7 | 0 | 10—7 | 13 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 11 | 4 | 4 | 3 | 19—10 | 12 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 11 | 5 | 2 | 4 | 10—10 | 12 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 10 | 4 | 3 | 3 | 17—12 | 11 |
| ცსკა | 10 | 3 | 5 | 2 | 14—15 | 11 |
| „არარატი" (ერევანი) | 11 | 4 | 3 | 4 | 10—11 | 11 |
| „დინამო" (თბილისი) | 10 | 3 | 4 | 3 | 11—7 | 10 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 11 | 4 | 2 | 5 | 11—14 | 10 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 10 | 4 | 1 | 5 | 10—12 | 9 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 11 | 4 | 1 | 6 | 16—22 | 9 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 11 | 4 | 1 | 6 | 11—18 | 9 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 10 | 2 | 4 | 4 | 10—13 | 8 |
| „დინამო" (მინსკი) | 11 | 2 | 4 | 5 | 11—18 | 8 |
| ასკ (ოდესა) | 10 | 1 | 4 | 5 | 4—12 | 6 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 10 | 1 | 4 | 5 | 5—16 | 6 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 10 | 2 | 1 | 7 | 9—16 | 5 |

## გუშინ...

„ჩერნომორეცი" — „სპარტაკი" 2:0.
„პახტაკორი" — „ნეფტიანიკი" 3:2.
„შახტიორი" — „არარატი" 3:0.
„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (მოსკოვი) 4:0.
„კრილია სოვეტოვი" — „ლოკომოტივი" 0:0.

## საბჭოთა ნაკრების გამგზავრება

მოსკოვიდან კოპენჰაგენს გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც დანიაში ორ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს ადგილობრივ გუნდებთან (9 და 14 ივნისს).

გუნდის შემადგენლობაშია 19 ფეხბურთელი: მეკარეები — ლ. იაშინი, ა. კავაზაშვილი, ვ. ბანიკოვი; დაცვა — ვ. პონომარიოვი, ა. შესტერნიოვი, ვ. გეტმანოვი, ვ. აფონინი, მ. ხურცილავა, ვ. დანილოვი; ნახევარდაცვა — ვ. ვორონინი; ი. საბო, გ. სიჭინავა, გ. ჰუსაინოვი; თავდასხმა — ს. მეტრეველი, ე. მარქაროვი, ა. ბანიშევსკი, ი. ჩისლენკო, ვ. სერებრიანიკოვი, ე. მალოფეევი.

ფეხბურთი

## ამჯერად — ინგლისის გალახის კორტებზე

— საერთაშორისო სარბიელზე ასეთი დიდი წარმატება საბჭოთა ჩოგბურთელებს ჯერ არ ჰქონიათ, — საფრანგეთის ღია ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ წერდა ფრანგული პრესა. მართლაც, პარიზში შესანიშნავად გამოვიდნენ ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი, ვ. კოროტკოვი...

და აი, ჩვენი სპორტსმენები კვლავ გაუდგნენ გზას: გეზი ლონდონისკენ აიღეს. აქ გ. ბაკშეევა, ა. მეტრეველი, ს. ლიხაჩოვი, ახალგაზრდები — რ. ისლანოვა, ო. მოროზოვა და ვ. კოროტკოვი მონაწილეობას მიიღებენ სამ შეჯიბრებაში — კენტის საგრაფოს ღია ჩემპიონატში ბეკნემში, კუინს-კლაბის ტურნირსა და უიმბლდონის მსოფლიოს არაოფიციალურ პირად ჩემპიონატში.

შარშან მოროზოვამ და კოროტკოვმა უიმბლდონის ტურნირში გაიმარჯვეს და ფაქტიურად მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონები გახდნენ იუნიორთა შორის.

გასულ ორშაბათს ჩვენმა ჩოგბურთელებმა სტარტი აიღეს. მხოლოდ ბაკშეევამ იზეიმა გამარჯვება, რომელმაც დაამარცხა ინგლისელი ვ. რისი — 6:2, 6:0. დანარჩენებმა წააგეს: კოროტკოვმა — ამერიკელ მ. რისენთან — 3:6, 3:6, ისლანოვამ — მ. არნოლდთან (აშშ) — 2:6, 3:6. ლიხაჩოვმა — ახალზელანდიელ ლ. ჟერარდთან — 2:6, 4:6, მეტრეველმა — ამერიკელ კ. გრებნერთან — 3:6, 6:3, 3:6.

ტურნირის სენსაცია იყო ინდოეთის „მეორე ჩოგნის" პ. ლალას გამარჯვება ევროპის ჩოგბურთის პრემიერთან, ესპანელ მ. სანტანასთან.

ჩოგბურთი

# ბურთი და მოედანი ბავშვებს



## მოსწავლეთა XVIII

# ყურადღება: რუსუდან სიხარულიძე!

ხუთ დღეს გრძელდებოდა შეჯიბრება სპორტულ ტანვარჯიშში. I ჯგუფში გაიმარჯვა თბილისის მოსწავლეთა I ნაკრებმა — 1092,465 ქულა. II ადგილი დაისაკუთრეს ქუთაისის I გუნდის ტანმოვარჯიშეებმა — 1036,16, ხოლო III — აფხაზეთის კოლექტივმა — 943,05. II ჯგუფში ყველას აჯობა ზუგდიდის ნაკრებმა (413,91), II ადგილზეა გორის გუნდი (398,265), III — ფოთის კოლექტივი (390,955).

საინტერესო იყო პირადი შეჯიბრება. ორი თვე არც კი გასულა საქართველოს მოსწავლეთა პირველობის შემდეგ, სადაც ჭაბუკებში აბსოლუტური ჩემპიონის წოდება ზუგდიდელმა გ. ჩქოტუამ მოიპოვა. ამ ასპარეზობაში მას ძლიერი მეტოქეობა გაუწია თბილისელმა გ. ლოლაძემ, რომელმაც 108,7 ქულით გაინაღდა სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონობა. ერთნაირი შედეგი (106,25) ჰქონდათ ჩქოტუასა და ე. სამხარაძეს (ქუთაისი). დებულების თანახმად, უპირატესობა ეძლეოდა სპორტსმენს, რომელიც უფრო მაღალ შეფასებას მიიღებდა რომელიმე იარაღზე. უმაღლესი ქულა აღმოაჩნდა სამხარაძეს და ჩქოტუა III ადგილით დაკმაყოფილდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ზუგდიდელი ჭაბუკის გამოსვლა ამჯერად უფრო სრულყოფილი იყო.

I თანრიგში საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს თბილისელებმა დ. ძაგანიამ, ნ. ჯოჯუამ და ნ. მიქელაძემ.

II თანრიგში ყველას აჯობა ზუგდიდელმა ნ. გარდავამ. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ პ. შამუგია და ვ. ფეიქრიშვილი (ორივენი — თბილისი).

ოსტატ გოგონებში სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი გახდა რ. ზერიკაშვილი — 74,7. II ადგილი წილად ხვდა რ. ჯინჭარაძეს — 74,4. მას მხოლოდ 0,1 ქულით ჩამორჩა მ. ჩაჩხიანი.

მარტში გამართულ საქართველოს მოსწავლეთა პირველობაში მეორეთანრიგოსან გოგონებში გაიმარჯვა ბათუმელმა რ. სიხარულიძემ (მწვრთნელი ნ. გაბრიაძე). აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში რუსუდანი პირველთანრიგოსანთა ასპარეზობაში გამოვიდა. 1954 წელს დაბადებულ გოგონას ამის უფლება არც კი ჰქონდა, მაგრამ ბათუმის განათლების განყოფილების შუამდგომლობითა და ექიმების საგანგებო ნებართვით ტანვარჯიშის რესპუბლიკურმა ფედერაციამ გამონაკლისი დაუშვა და არც შემცდარა. რუსუდანმა 73,45 ქულა დააგროვა და უკან ჩამოიტოვა II და III ადგილების მფლობელნი ო. გრიგორიევა (აფხაზეთი) და ე. კაზიევა (ქუთაისი).

შეჯიბრების ბოლო დღეს გაიმართა ფინალური ასპარეზობა, რომელსაც ცალკეულ იარაღებზე ვარჯიშებში გამარჯვებულები უნდა გამოევლინა. ღერძზე, ორძელზე, ტაიჭზე და თავისუფალ ვარჯიშში ჭაბუკთა შორის გაიმარჯვა გ. ლოლაძემ, ხოლო რგოლებსა და ბჯენით ხტომებში — ე. სამხარაძემ.

გოგონებში სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: ბჯენით ხტომებში — მ. ჩაჩხიანი, ორძელზე — რ. ზერიკაშვილი, დვირზე — ლ. გათენდაშვილი, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში — ლ. ლაპისტოვა.

თბილისის განათლების განყოფილების ცენტრალური ტანვარჯიშული სპორტსკოლის დირექციამ (დირექტორი მ. იმნაძე) ამ შეჯიბრებაზე ორი გარდამავალი თასი დააწესა თავისუფალი ვარჯიშის საუკეთესო შემსრულებელ გოგონასა და ჭაბუკისთვის. ეს პრიზები გადაეცათ რ. ჯინჭარაძეს და ე. სამხარაძეს.

არ შეიძლება არ შევეხოთ დღესდღეობით ჯერ კიდევ საჭირბოროტო საკითხს. საქმე ის არის, რომ მსაჯობის დონე ვერც ამ ასპარეზობაში პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. ეს იმის ბრალია, რომ ჩვენი გამოცდილი და სახელმოხვეჭილი არბიტრები თავს არიდებენ მოსწავლეთა შეჯიბრებებში მსაჯობას.

**თ. ქორქია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *



სურათზე: გ. ლოლაძე ასრულებს თავისუფალ ვარჯიშს.

ფოტო ო. იუნაევისა.

# „ოლიმპიური გაზაფხული" ქალაქში დადის

„ოლიმპიურმა გაზაფხულმა" თბილისის ორჯონიკიძის რაიონის 123-ე საშუალო სკოლაშიც შეაბიჯა. მას აქ სტუმართმოყვრულად შეხვდნენ — ასპარეზობის სტარტზე 233 მოსწავლე გავიდა. ბევრმა კარგი შედეგიც აჩვენა. 15-16 წლის გოგონათა მრავალჭიდში გაიმარჯვა მეცხრეკლასელმა თ. ხვედიაშვილმა. მან 14,5 წამში გაირბინა 100 მეტრი, 500 მეტრზე აჩვენა 1.31,0, სიგრძეზე 438 სანტიმეტრზე გადახტა, ხოლო სიმაღლეზე — 135-ზე, ბირთვი კრა 8,20 მეტრზე.

ამავე ასაკის ჭაბუკებში ყველას აჯობა მეცხრეკლასელმა ვ. ჯამალაშვილმა.

17-18 წლის ჭაბუკთა შორის გამარჯვებისთვის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა ვ. ბიბილაშვილსა და ვ. ჯაბანაშვილს შორის. ჯაბანაშვილმა მოიგო 100 (12,2) და 800 მეტრზე (2.19,8) რბენა. სამაგიეროდ, ბიბილაშვილმა იმარჯვა სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომასა (583 და 165) და ბირთვის კვრაში (10,42 მ). ჩემპიონობაც მან დაისაკუთრა.

ამ ასაკის გოგონებში პირველი იყო რ. ვართანოვა.

ამ დღეებში ბევრი საზრუნავი ჰქონდა 26 კომისრის სახელობის რაიონის 89-ე საშუალო სკოლის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარეს, მეათეკლასელ ა. აჩიკიანს, საქმე ის არის, რომ „ოლიმპიური გაზაფხულის" შეჯიბრება ადგილობრივ მსაჯთა კოლეგიას უნდა ჩაეტარებინა. მართლაც, გ. ოტიაშვილის, თ. თუშიშვილის, ი. რევაზოვის, ი. ბალასანიანისა და სხვათა მსაჯობით კმაყოფილი დარჩა ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. იაცკევიჩი.

გაიმარჯვეს მეთერთმეტეკლასელებმა ს. ტატულოვმა, გ. მგალობლიშვილმა, თ. ბურნაძემ და მერვეკლასელმა შ. რევაზოვმა.

„ოლიმპიურმა გაზაფხულმა" უკვე მოიარა თბილისის ბევრი კოლექტივი. საინტერესოც ბევრი რამ ნახა, მაგრამ ზოგან ისეთ ფაქტებსაც წააწყდა, რომლებიც სასკოლო ფიზკულტურული კოლექტივების უმოქმედობაზე მეტყველებენ. ამაზე „ოლიმპიური გაზაფხულის" დამთავრების შემდეგ ვისაუბრებთ.

**ვ. ბუკია.**

# წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **თავისუფალ ჭიდაობაში** — ლ. კუჭუხიძეს (თბილისის „შრომითი რეზერვები"); **ნიჩბოსნობაში** — ლ. მოისეევს (თბილისის „ბურევესტნიკი"); **ჩოგბურთში** — დ. შალამბერიძეს (თბილისის „ლოკომოტივი"), გ. კოკაიას (თბილისის „ვანთიადი").

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **მძლეოსნობაში** — ო. ლაკერბაის, ო. ელიაშვილს (ორივენი — თბილისი); **ჭიდაობაში** — გ. კარტოზიას (თბილისი); **ტანვარჯიშში** — ვ. შარაბიძეს (თბილისი); **ველოსპორტში** — ს. ნათაძეს (თბილისი); **ხელბურთში** — თ. ჩხარტიშვილს (თბილისი).

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით სპორტის ოსტატის საპატიო ნიშნით დაჯილდოვდა: **ცხენოსნობაში** — ა. მანჯავიძე (თბილისის „კოლმეურნე").

# ვანელთა კარგი საქმენი
# ბათუმელი გოგონას წინსვლა
# სტარტზეა 233 მოსწავლე

# შენდება სპორტული კომბინატი

ვანში საფუძველი ჩაეყარა სპორტკომბინატის მშენებლობას.

... უსარგებლო ბუჩქნარითა და ეკალ-ბარდით იყო დაფარული ჭიშურასა და სულორს შორის მოქცეული ვრცელი ჭალა. იგი შნოსა და ლაზათს უკარგავდა დაბის გარეუბანს. სწორედ ამ ადგილს დაადგა თვალი პარტრაიკომის პირველმა მდივანმა გ. უიფიანმა,— აქ ჩაეყარა საფუძველი ვანელ სპორტსმოყვარულთა მომავალ სარბიელს.

... მდინარე ჭიშურამ კალაპოტი იცვალა, ამოიძირკვა ჩირგვნარი, მოსწორდა სამშენებლო მოედანი, ექსკავატორმა გაწმინდა... არხი შემოავლო სპორტული კომბინატის ტერიტორიას. არხი ყოველთვის წყალსავსე იქნება და წყალჯომარდობის საქმესაც მოემსახურება.

კომბინატის კომპლექსში გათვალისწინებულია: ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთისა და საჭიდაო მოედნები, მძლეოსნური სექტორები, საცურაო აუზი, ჩოგბურთის კორტი.

დღითიდღე მატულობს მშენებლობის ტემპი, ეწყობა შაბათობები. აქ თითქმის ყოველდღიურად მოდიან დაბის საწარმო - დაწესებულებათა მუშაკები, ახალგაზრდები, რომ კეთილ საქმეში წვლილი შეიტანონ.

მადლობა ეთქმით კომუნალური მეურნეობის კომბინატის (დირექტორი პ. სიგუა) მუშაკებს, რომლებიც წარმატებით უძღვებიან სამშენებლო სამუშაოებს. ამ ახალი მშენებლობისადმი დიდ ყურადღებას იჩენს რაიონის ხელმძღვანელობა.

სამუშაოთა უმეტესობა საზოგადოებრივ საწყისებზე სრულდება. განზრახულია სპორტკომბინატი წლეულსვე გადაეცეს საექსპლოატაციოდ.

**პ. კორძაძე,**
გაზეთ „განთიადის" რედაქციის განყოფილების გამგე.

ვანი.

## აქედანვე ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის



# რით ვართ

საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა შორის დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ გამოჩნდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი: ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატში, რომელიც ახლახან ნოვოსიბირსკში ჩატარდა, გ. კოჩიევმა დაძაბულ ბრძოლაში შეძლო ოქროს მედლის მოპოვება საშუალო წონის ათლეტებში. ამჟამად სსრ კავშირის რეკორდსმენთა რიგებში კოჩიევის გარდა ა. ჯეჯელავაც არის. იუნიორთა შორის საკავშირო რეკორდსმენები არიან დ. შავოშვილი და ა. კირაკოსოვი.

წლეულს ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნებმა საქართველოს 10-ზე მეტი რეკორდი დაამყარეს. ყველა ეს რეკორდი ახლა სპორტის ოსტატის ნორმას აღემატება. უდავოდ დიდი მიღწევაა! მაგრამ ჩვენს საქმიანობაში დღემდე აღმოუფხვრელია მეტისმეტად სერიოზული ხარვეზები.

რით ვართ შეშფოთებული?

სხვა წლებისაგან განსხვავებით წლეულს სსრ კავშირის გუნდური პირველობა რესპუბლიკებს შორის იმართება ცალ-ცალკე ახალგაზრდულ და მოზრდილთა გუნდებისთვის. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი ორივე მაჩვენებელი აირიცხება. სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში თვითეული გუნდის შემადგენლობაში 12 კაცი უნდა იყოს, — ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები. შეზღუდულია ასაკიც — კურსი აღებულია ახალგაზრდობაზე.

ასეთი ფართო მოთხოვნები შემთხვევითი როდია. მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრების დამარცხებას იოლად ვერ შევურიგდებით. ამისათვის კი, პირველ ყოვლისა, საჭიროა აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები ახალგაზრდობასთან მუშაობაში. დროულად უნდა გაიხსნას ახალგაზრდათა სპეციალიზებული სკოლები ძალოსნობაში.

საქართველოს ახალგაზრდათა პირველობამ ვერ გაგვახარა თავისი შედეგებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ 2-3 კაცს, პერსპექტიული ახალგაზრდობა არ ჩანს. ეს მცირე გამონაკლისი კი სრულიადაც ვერ წყვეტს სსრ კავშირის ჩემპიონატში ახალგაზრდული გუნდით მონაწილეობის პრობლემას, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნების წინაშე დგას.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ახალგაზრდული გუნდების სამატჩო შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ საჭიროა მუშაობის ძირეული გარდაქმნა. ჩვენმა ძალოსნებმა ეს შეხვედრა მოიგეს, მაგრამ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის მწვრთნელთა საბჭომ ულალატა ტრადიციას, გამარჯვებულები „გაასამართლა", იმსჯელა შედეგებზე და სათანადო დადგენილებებიც მიიღო.

ამას წინათ დამთავრებულმა შეჯიბრებამ თბილისის თასზე გამოამჟღავნა, რომ სპორტსაზოგადოებებში ძალოსნობის განვითარების საქმე სათანადო დონეზე ვერ დგას. ქალაქის თასი თამაშდებოდა სპორტსაზოგადოებებისა და ფიზკულტურული კოლექტივების სპორტსმენებს შორის. თვითეულ საზოგადოებას უნდა გამოეყვანა ერთი ახალგაზრდული გუნდი, რომლის წევრებსაც ხულ ცოტა, მოზარდთა თანრიგი, ხოლო მოზრდილთა გუნდის წევრებს — I თანრიგის ნორმატივი მაინც უნდა ეჩვენებინათ. აქვე უნდა ვთქვათ, რომ პირველი თანრიგი მიუწვდომელი გახდა ზოგიერთი სპორტის ოსტატისთვისაც კი.

დღესდღეობით აჭიმვა მტკივნეული საკითხია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საკავშირო მასშტაბითაც. სწორედ აჭიმვა იყო ის საბედისწერო მოძრაობა, რამაც მსოფლიოსა და ევროპის პირველობა წაგვაგებინა. საბედისწერო იყო იგი სსრ კავშირის პირველობის მრავალი მონაწილისთვისაც. სამწუხაროდ, გამონაკლისს არც თბილისის თასის გათამაშება წარმოადგენდა.

66 მონაწილიდან 10-მა ვერ მიიღო შეფასება აჭიმვაში. ეს საგანგაშო მდგომარეობაა. ამას გარდა, 21 სპორტის ოსტატიდან აჭიმვაში ოსტატის ნორმა შეასრულეს მხოლოდ გ. კოჩიევმა და გ. მიმინოშვილმა. ორმა შეასრულა ოსტატობის კანდიდატის, ხოლო რვამ — პირველი თანრიგის ნორმა. ასე რომ, 35 სპორტის ოსტატისა და პირველთანრიგოსნიდან თავიანთ გუნდებს ჩათვლა მისცა 12-მა სპორტსმენმა. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია!

რით შეიძლება გაიმართლოს თავი სპორტის ოსტატმა შ. ციცვიძემ („ლოკომოტივი"), რომელმაც მხოლოდ მეორე თანრიგის ნორმა შეასრულა?

# ფალავანთა ტრადიციები

საბჭოთა მოჭიდავეების დებიუტი მსოფლიო სარბიელზე 1953 წელს შედგა ნეაპოლში, სადაც კლასიკურ მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობა გაიმართა. მაშინ საბჭოთა ათლეტებმა „გიმნაზიუმ პალესტრის" დარბაზიდან გუნდური გამარჯვებისთვის დაწესებული პრიზი წამოიღეს. ოქროს ერთ-ერთი ჯილდო თბილისელმა გ. კარტოზიამ დაისაკუთრა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მრავალი შეჯიბრებაც მოეწყო, რომლებშიც საბჭოთა ათლეტებმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვეს.

და აი, ჩვენი მოჭიდავეების მიერ გასულ ჩემპიონატში მოპოვებულმა პრიზმა ოკეანეს უნდა გადაუფრინოს და ამერიკის შეერთებულ შტატებში დაეშვას: 16–22 ივნისს ტოლიდოს უნივერსიტეტის სპორტულ დარბაზში „ფილდ ჰაუზში" ჭიდაობის სპორტის ისტორიაში მეორედ გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატი კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში.

ტოლიდო კარგად იცნობს საბჭოთა მოჭიდავეების ოსტატობას. 1962 წელს მათ ხომ სწორედ ამ ქალაქში დაისაკუთრეს ოქროს 3-3 მედალი ჭიდაობის ორივე სახეობაში. ერთ-ერთი მათგანი ამჟამად ინახება მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ რ. აბაშიძესთან, ვერცხლის მედლები — ო. ეგაძესა და რ. ჯღამაძესთან.

კლასიკურ მოჭიდავეთა იმდროინდელი ნაკრებიდან გუნდს ახლა მხოლოდ ერთი შემორჩა — მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი უმძიმეს წონაში ს. რიბალკო (ზაპოროჟიე). დანარჩენ წონით კატეგორიებში გამოვლენ კიეველი ვ. ტროსტიანსკი, თბილისელი რ. რურუა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. საპუნოვი (მოსკოვის ოლქი), ომსკელი ვ. იგუმენოვი, ნოვოკუზნეცკელი ვ. ოლეინიკი, მსოფლიო ჩემპიონი ვ. ანისიმოვი (მოსკოვი) და ნ. შმაკოვი (მოსკოვის ოლქი).

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთაგან მაშინ ტოლიდოში ოქროს მედლები მოიპოვეს: მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა ა. ალიევმა, ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონებმა ა. მედვედმა და ა. ივანიცკიმ. ამჟამად ეს სპორტსმენები შეყვანილი არიან ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში. მათ გარდა საბჭოთა სპორტის ღირსებას დაიცავენ: ტ. ალიბეგაშვილი, ევროპის ჩემპიონი ე. თედეევი, ევროპის ჩემპიონი ზ. ბერიაშვილი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. სალარაძე, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი ა. ცხოვრებოვი.

— ტოლიდოს სპორტული ბატალიები ძალზე დაძაბული იქნება, — ასე განუცხადა ჟურნალისტებს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ჯ. სკალცომ. — შეჯიბრებაში მონაწილეობაზე განაცხადი უკვე გამოგზავნა 24 ეროვნულმა ფედერაციამ. ყველაზე მეტ სპორტსმენს გამოიყვანენ (16 მოჭიდავე) სსრ კავშირი, ბულგარეთი, ირანი და თურქეთი. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრიის, ბელგიის, გდრ-ის, ინდოეთის, მონღოლეთისა და ნორვეგიის სპორტსმენები. მომავალი ჩემპიონატი, ალბათ, სარეკორდო იქნება.

როგორია მონაწილეთა შანსები? ევროპის ამასწინანდელმა ჩემპიონატებმა გვიჩვენა, რომ საბჭოთა კლასიკური სტილის მოჭიდავეები ამჟამადაც უძლიერესები არიან მსოფლიოში და მოსალოდნელია, რომ ისინი მედლების უმრავლესობას მოიხვეჭენ. რაც შეეხება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრებას, აქ, საბჭოთა მწვრთნელების აზრით, გუნდური გამარჯვებისთვის იბრძოლებენ ირანის, თურქეთის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. ცალკეულ წონით კატეგორიებში ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების სპორტსმენებიც.

**პ. ხარკოვანიანი,**
ჭიდაობის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

# დებიუტანტის წარმატება

შეჯიბრება, რომელიც ამას წინათ გაიმართა ტულის ტრეკზე, კომკავშირის XV ყრილობას მიეძღვნა. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უძლიერესი სპრინტერები — მსოფლიო ჩემპიონი ო. ფხაკაძე, საქართველოს ნაკრების წევრები შ. კაცაძე და გ. შონია, ხარკოველი ი. ცელოვალნიკოვი, სსრ კავშირის ჩემპიონები, მსოფლიო პირველობისა და ოლიმპიური თამაშების მონაწილენი ბ. რომანოვი, ვ. ხიტროვი, ჭაბუკთა შარშანდელ საკავშირო ტურნირში გამარჯვებულნი — ა. აგაპოვი და ვ. ნიკიფოროვი. არ გამოდიოდნენ მხოლოდ ი. ბოდნიეკსი და ვ. ლოგუნოვი. პროგრამაში იყო სპრინტი, 200 მეტრი სვლით, ჯგუფური და გუნდური რბოლები. შეჯიბრების ზოგიერთი სახეობის ტექნიკური ანგარიში მკითხველებისთვის ცნობილია, მაგრამ ვფიქრობთ, მათ დააინტერესებთ ისიც, თუ როგორ გამოვიდნენ ამ ასპარეზობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები.

შეჯიბრება სპრინტით დაიწყო. მონაწილენი ოთხ ჯგუფად დაიყვნენ. 2-2 სპორტსმენი ორჯერ უნდა შეხვედროდა ერთმანეთს, გამარჯვებულნი ქმნიდნენ ფინალს. კენჭისყრამ ქართველ სპრინტერებს არ გაუმართლა: შონია შეხვდა რომანოვს, კაცაძე — ფხაკაძეს.

კაცაძე თავგამოდებით ებრძოდა ჩემპიონს, მაგრამ მის გრიგალისებურ სისწრაფესთან ვერაფერი გააწყო. ამ დღის სენსაცია იყო რომანოვისა და ხიტროვის მარცხი აგაპოვთან. ბოლოს, ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფხაკაძე და აგაპოვი. მსოფლიო ჩემპიონმა რბოლა მისთვის ჩვეული ტაქტიკით წარმართა, ყველა შეხვედრა მოიგო და პირველობა მოიპოვა.

გუნდური რბოლა გამოთიშვით. აქ საუკეთესო დრო (1.09,1) აჩვენა ფხაკაძის გუნდმა (ცელოვალნიკოვი, ნიკიფოროვი), მაგრამ ჯგუფი წრეზე ყველაზე უკეთ მაინც კაცაძემ წაიყვანა — 20.2.

მეორე დღეს გაიმართა რბოლა 200 მეტრზე. დიდხანს საუკეთესო შედეგი (11,8) ჰქონდა ცელოვალნიკოვს, მაგრამ როცა სტარტზე ფხაკაძე დადგა, ტრიბუნებზე გამაყრუებელი გუგუნი გაისმა. ხალხი მოწონების შეძახილებით გამოხატავდა აღტაცებას. ფხაკაძემ პირველი 100 მ 5,4 წამში გაიარა, მეორე კი (პირქარის მიუხედავად) 5.8 წამში, რითაც თავისივე საკავშირო რეკორდი (11,2) გაიმეორა. ეს ტულის ტრეკის რეკორდიცაა.

სპრინტში წილისყრამ კაცაძე აგაპოვს შეახვედრა, შონია — რომანოვს, ფხაკაძე — ნიკიფოროვს, ცელოვალნიკოვი — ხიტროვს. მსოფლიო ჩემპიონმა იოლად მოუგო ნიკიფოროვს. გაიმარჯვეს ცელოვალნიკოვმა და რომანოვმაც.

ჯერი ბოლო წყვილზე მიდგა. ფხაკაძის უკანასკნელი დარიგება და... კაცაძე იერიშზე გადავიდა. უკანასკნელ ვირაჟზე იგი მძლავრი ბიძგით გაიჭრა წინ და გავიდა ფინალში, სადაც ჯგუფური სერიები გათამაშდა.

მეორე სერიაში მეტოქენი დიდხანს ნელა მიდიოდნენ — თვალს არ აშორებდნენ ერთმანეთს, რითაც კარგად ისარგებლა კაცაძემ და დაწინაურდა. ფხაკაძეს, რა თქმა უნდა, არ აინტერესებდა თანამემამულის „დაჭერა". რომანოვმა და ცელოვალნიკოვმა მსოფლიო ჩემპიონის ახალი ტრიუკის შიშით გამოდევნება ვერ გაბედა და კაცაძემ ცდა მოიგო, რითაც პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

3 ცდის ჯამში გაიმარჯვა ფხაკაძემ, II იყო რომანოვი, III — კაცაძე.

**ო. კალაძე,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

(ჩვენი სპეც. კორ.).

ტულა — თბილისი.

# „ლელოს" ინტერვიუ

ერევნის ტრეკზე მსოფლიო რეკორდის დამყარების შემდეგ თბილისში დაბრუნდა მსოფლიო ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ფხაკაძე, რომელსაც შეხვდა ჩვენი კორესპონდენტი **ვ. სერგიაშვილი** და სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე კითხვაზე. ვბეჭდავთ ინტერვიუს მსოფლიო ჩემპიონთან.

# 4 შეკითხვა რეკორდსმენს

● **კმაყოფილი ხართ თუ არა ერევანში მონაპოვრით?**

— რა თქმა უნდა. სომხეთის დედაქალაქის ტრეკზე გამართულ მატჩში მონაწილეობდნენ ერევნის, გროზნოსა და თბილისის საუკეთესო სპორტსმენები. 500 მეტრზე სვლით შევძელი მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარება — 29,3. რაც შეეხება ამ შედეგის კიდევ ერთხელ გაუმჯობესებას, რასაც გაზეთები მომაწერდნენ, ეს საკდესის კორესპონდენტის შეცდომაა. კმაყოფილი ვარ იმითაც, რომ აქვე, დიდი სიცხის მიუხედავად, ჩემი საკავშირო რეკორდი 200 მეტრზე სვლით (11,2) გავიმეორე.

● **როგორ ემზადებოდით შეჯიბრებებისთვის?**

— წვრთნას ჩვეულებრივზე ცოტა მეტ დროს ვანდომებდი, — მე ხომ მალე საზღვარგარეთ მელის გამგზავრება. სწორედ ამიტომ არ ვცადე ძალები ერევანში ჩემს საყვარელ სახეობაში — სპრინტში.

● **რას იტყვით თქვენი თანაგუნდელების გამოსვლებზე?**

— ისინი მხოლოდ ქების ღირსი არიან. განსაკუთრებით იყოჩაღა ახალგაზრდა ვ. ფეტისოვმა, რომელმაც 4 კილომეტრზე გამოდევნებით რბოლაში პირველობაც მოიპოვა, საქართველოს რეკორდიც დაამყარა (5.06,7) და სპორტის ოსტატის ნორმაც პირველად შეასრულა. კარგად გამოვიდნენ სხვა თბილისელებიც. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი წაგება, დაე, მსაჯების სინდისზე იყოს.

● **როგორი გეგმები გაქვთ?**

— ჩემი სამშობლოს სპორტული ღირსების დასაცავად წლეულს რამდენიმეჯერ მომიწევს საზღვარგარეთის ველოსტადიონებზე გამოსვლა. ო, იქ მრისხანე მეტოქენი მელოდებიან. ივნისში განსაკუთრებით ძნელი ბრძოლები მელის ჰოლანდიის დედაქალაქში, სადაც სპრინტერთა საერთაშორისო შეხვედრები გაიმართება „ამსტერდამის დიდ პრიზზე". საზღვარგარეთის ტურნეში წარმატებით მონაწილეობისთვის საჭირო იყო სპეციალური წვრთნა, ამის საშუალებას კი თბილისის ტრეკი არ იძლევა. ამ ყოვლად არანორმალური ფაქტორის კომპენსაციას რუსთავის გზატკეცილზე ვარჯიშით ვახდენდი, მაგრამ მხოლოდ მის პირდაპირ მონაკვეთებზე ვავითარებდი მაქსიმალურ სისწრაფეს. თბილისში რომ ნორმალური ტრეკი გვქონდეს, უფრო მაღალ შედეგებს მივაღწევდი. და განა მარტო მე?! ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ კარგი ბაზა ჩვენი სხვა ველოსიპედისტების ტექნიკასაც საგრძნობლად აამაღლებდა და საერთაშორისო სარბიელზე ეულად აღარ ვიქნებოდი.

# სპორტული ამბები

● **რიგა, 7 ივნისი.** „დაუგავის" სტადიონზე დაიწყო მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, რუმინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები. 5000 მეტრზე რბენა მოიგო მასპინძელთა გუნდის წევრმა ორენტასმა — 13.46,8. ვაჟთა სპრინტში საუკეთესო იყო კაშჩეევი — 10,4. სსრ კავშირის რეკორდსმენმა ლუსისმა შუბი ტყორცნა 81,42 მეტრზე, რითაც მას გამარჯვება მოუტანა.

● **მეხიკო,** 7 ივნისი. **აქ სტუმრად იყვნენ ლენინგრადის ფრენბურთელი ვაჟები. მასპინძლებთან მათ 3 მატჩი გამართეს და ყველა მოიგეს — 3:2, 3:2 და 3:0.**

● **მოსკოვი, 7 ივნისი.** მოფარიკავეთა საკავშირო ჩემპიონატში დღეს გამოირკვა დაშნით მებრძოლთა შორის ჩემპიონის ოქროს მედლის მფლობელი. ეს გახლავთ მინსკელი ი. სმოლიაკოვი, რომელმაც დამატებით ბრძოლაში სძლია თავის თანაქალაქელ ა. ნიკანჩიკოვს. III ადგილზე გავიდა ახალგაზრდა ტვერელი სპორტსმენი, ფინალური ტურნირის დებიუტანტი, 21 წლის ვ. ლოხინი. ოლიმპიური ჩემპიონი და სსრ კავშირის 1964 და 1965 წლების ჩემპიონი გ. კრისი (კიევი) IV ადგილით დაკმაყოფილდა.

# ყველას აჯობა ა. კუშნირმა

**მოსკოვი (ჩვენი კორ.).** დამთავრდა მოსკოვის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი, რომელშიც 17 ოსტატი და პირველთანრიგოსანი მონაწილეობდა.

საერთაშორისო ოსტატმა ა. კუშნირმა შეჯიბრება წაგებით დაიწყო: I ტურშივე დამარცხდა ოსტატ ნ. ვოიცეკთან. შემდეგში ა. კუშნირმა გამოასწორა მდგომარეობა და შესამჩნევად გაუსწრო მეტოქეებს. ფინიშზე კიდევ ერთი წაგების (ვ. ჩუდოვასთან) მიუხედავად, მან 11,5 ქულით I ადგილი დაიკავა.

მოსკოვის ახალ ჩემპიონს 1 ქულით ჩამორჩა ოსტატი ლ. ბელავენეცი. 10 ქულით III ადგილზეა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ო. რუბცოვა.

9,5 ქულა მოაგროვეს ოსტატმა ო. კაცკოვამ და ლ. პოსტნიკოვამ, 9-9 ქულა — მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ე. ბიკოვამ და ოსტატმა ნ. ვოიცეკმა.

ძალზე წარუმატებლად ითამაშა ოსტატმა ე. რუბცოვამ, რომელმაც 6,5 ქულით მხოლოდ XII ადგილი დაიკავა.

# ახალი ჩემპიონები

**ლენინგრადი (ჩვენი კორ.).** ბოლო ორი წელია ე. რუზანი ბელორუსიის საჭადრაკო ჩემპიონატებში II ადგილზე გადიოდა, წლეულს კი მან I ადგილი დაიკავა, მაგრამ არა ბელორუსიის, არამედ... ლენინგრადის ჩემპიონატში. ახალმა ჩემპიონმა, რომელიც ადგილობრივი უნივერსიტეტის II კურსის სტუდენტია, მოაგროვა 9,5 ქულა (13-დან) და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.

ქალთა შორის ჩემპიონი პირველად გახდა ოსტატი ე. ბიშარდი (11 ქულა 15-დან).

**ა. შელერი,**
სპორტის ოსტატი.

## ჭადრაკი

# შეშფოთებული?

ბრალს სდებენ მსაჯებს, რომლებიც შეჯიბრების მონაწილეებს საშუალებას არ აძლევდნენ აჭიმვა ჩაეთვალათ, როცა სინამდვილეში აკვრას ასრულებდნენ. 2 აკვრა კი სამჭიდში შეუძლებელია! ეს კარგად ესმით როგორც მონაწილეებს, ისე მსაჯებსა და მწვრთნელებს. შეიძლება ბევრისთვის არ იყოს ნათელი, თუ როგორ უნდა აჭიმვა წესის დაურღვევლად. რა ვუყოთ, იტყვიან, არცოდნა არცოდვაა, მაგრამ ასეთ დროს რჩევას სხვას ჰკითხავენ ხოლმე. აქ თავისი სიტყვა უნდა თქვას მწვრთნელთა საბჭომაც. ასე თუ ისე, ნათელია, რომ საკავშირო სარბიელზე გასვლა აჭიმვით, რომელიც აკვრას ჰგავს, ყოვლად დაუშვებელია!

რესპუბლიკის ძალოსანთა შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უკეთესი მდგომარეობა არც ატაცსა და, განსაკუთრებით კი, აკვრაში გვაქვს. ეს ხელშესახებად იგრძნობა ახალგაზრდა სპორტსმენთა გამოსვლებში. თუ საქართველოს პირველობაზე აჭიმვაში ნაჩვენები იქნა ოსტატობის კანდიდატის 2 და პირველი თანრიგის 5 შედეგი, ატაცსა და აკვრაში ოსტატობის კანდიდატის შედეგს საერთოდ ვერავინ მიაღწია. პირველი თანრიგის ნორმა ატაცში სამმა, აკვრაში კი ორმა სპორტსმენმა შეასრულა.

შეუწყნარებელია ის ფაქტიც, რომ სპორტის ოსტატი მ. კალაშიანი (ზემძიმე წონა) იმდენსავე, ხანდახან კი ნაკლებსაც ჰკრავს, რამდენსაც აჭიმავს. „დინამოს" ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მას იმდენივე რომ აეკრა, რამდენიც აჭიმა, პირველი იქნებოდა.

ეს ფაქტი მწვრთნელებმა უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ. საჭიროა მეტი მუშაობა ტემპური მოძრაობების დასახვეწად. ბრძოლის ბედს ყველა შეჯიბრებაში აკვრა წყვეტს.

მიმდინარე წლის შეჯიბრებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველა ძალოსანი მთლიანად როდი იყენებს თავის შესაძლებლობებს. ხშირად შტანგის დაძლევის ყველა ცდიდან შედეგიანი მხოლოდ 50-55 პროცენტია. თბილისის თასის გათამაშებაში არც ერთმა მონაწილემ არ გამოიყენა ყველა 9 ცდა.

ხშირია შემთხვევები, როცა ძალოსანი საწყის წონას ვერ დაძლევს ხოლმე, ყოვლად უსაფუძვლოდ გამოსტოვებს მას და 5 ან 10 კილოგრამს უმატებს, რის შედეგადაც ნოლს ღებულობს.

პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ მომატების ნორმა არ უნდა აღემატებოდეს 5-7,5 კილოგრამს. გუნდურ შეჯიბრებებში მწვრთნელმა კატეგორიულად უნდა აკრძალოს 10 კგ-ის მომატება.

ამ ბოლოხანს თბილისში სულ უფრო ხშირად შეიმჩნევა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოებების მიერ წესების დარღვევის შემთხვევები. ამ მხრივ ქალაქის თასზე შეჯიბრებამ ყოველგვარ რეკორდს გადააჭარბა: თითზე ჩამოსათვლელი როდი იყო მაგალითები, რომ ერთი და იგივე ძალოსანი ორი სხვადასხვა საზოგადოების სპორტულ ღირსებას იცავდა. დავასახელოთ, თუნდაც, ა. ხვედელიძე და ზ. ჯიბლაძე. ისინი „ბურევესტნიკის" წევრები არიან, მაგრამ ფიზკულტურულ კოლექტივებში ჩათვლა მისცეს: ხვედელიძემ — „ისანს", ჯიბლაძემ — „სინათლეს". ეს ორი კოლექტივი კი „განთიადს" ეკუთვნის.

მეორეთანრიგოსანი ლ. პრაგა წლეულს ხან „ლოკომოტივის" სახელით გამოდიოდა, ხან „განთიადის", ხან ისევ „ლოკომოტივისა".

თბილისის თასზე შეჯიბრება გარდამტეხი უნდა გახდეს ჩვენი რესპუბლიკის ძალოსნების საქმიანობაში. თბილისისა და საქართველოს ძალოსნობის ფედერაციებს დიდი მუშაობა მოუწევთ, — შორს არ არის სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა.

**დ. კაპცოვი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

• • •



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: თბილისის თასზე ასპარეზობაში ახალგაზრდათა შორის რესპუბლიკური რეკორდების ავტორები — მარცხნივ — ვ. კოჩიევი (საშუალო წონა) — ატაცი — 112.5 კგ. მარჯვნივ — ზ. ჯიბლაძე (ზემძიმე წონა) — აჭიმვა — 121 კგ.

ფოტო ი. იუნაევისა.

## სსრ კავშირის პირველობა

# გუშინ...

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონაში. აი, რას გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები:

### ● გორიდან

ადგილობრივი „დილის“ მეტოქე განვლილ ტურში იყო დერბენტის „უროჟაი“. მატჩის დასაწყისი ძალზე საინტერესო გამოდგა. პირველი 15 წუთის მანძილზე ორივე კართან შეიქმნა რამდენიმე სახიფათო მომენტი და მეკარეები ხშირად ებმებოდნენ თამაშში. შემდგომში ტემპმა იკლო და თამაში გაუფერულდა.

გოლი, რომელმაც გორის გუნდს მოუტანა გამარჯვება და მასთან ერთად მეტად საჭირო 2 ქულა, გატანილ იქნა 68-ე წუთზე. „დილის“ თავდამსხმელი ბურჯანაძე გავიდა მცველებს შორის და დაარტყა კარში. მეკარე ნოვიკოვმა მოიგერია ბურთი, მაგრამ მას დროზე მიუსწრო ჯანელიძემ.

ვ. გოზალიშვილი.

### ● სოხუმიდან

„დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ფოთის „კოლხიდა“. მატჩის დასაწყისი სოხუმელთა უპირატესობით მიმდინარეობდა, რომლებსაც ორჯერ ჰქონდათ გოლის გატანის საშუალება, მაგრამ ფოთელთა მეკარე ბურჭულაძემ საუკეთესოდ ითამაშა. შემდეგ სოხუმელმა გაბელიამ 2 მეტრიდან ააცილა ბურთი ცარიელ კარს.

უტევს ერთი გუნდი, ბურთი გააქვს მეორეს — ასე მოხდა ამ მატჩში. 45-ე წუთზე ფოთელმა ჯიბლაძემ კარგად გამოიყენა თავისი გუნდის ერთ-ერთი კონტრშეტევა და ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში.

მეორე ნახევარი მიმდინარეობდა გარდამავალი უპირატესობით.

თამაში დამთავრდა ფოთელთა გამარჯვებით — 1:0.

შ. ჯალალონია.

### ● ტყიბულიდან

მორიგი გამარჯვება ჩაიწერა თავის აქტივში ტყიბულის „მეშახტემ“, რომელიც თავის სტადიონზე შეხვდა მახაჩყალის „დინამოს“.

ტყიბულელები მთელი მატჩის მანძილზე უტევდნენ მოწინააღმდეგეს და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 3:0.

### ● გურჯაანიდან

გურჯაანის „ალაზანი“ მორიგ მატჩში საკუთარ მინდორზე შეხვდა პიატიგორსკის „მაშინოსტროიტელს“.

შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0

„ბ“ კლასი IV ზონა

◆ მანილა (ფილიპინის კუნძულები), 8 ივნისი. 5 დღე, 6 საათი, 16 წუთი და 40 წამი მოანდომეს ამერიკელებმა რობერტ და ჯოან უოლიკებმა დედამიწის გარშემო ფრენას. ცოლ-ქმარმა ეს სარეკორდო გადაფრენა ორძრავიანი სპორტული თვითმფრინავით განახორციელეს. სტარტი და ფინიში (გუშინ) აქ შედგა. მსოფლიოს ძველი რეკორდი (8 დღე, 18 საათი, 35 წუთი და 57 წამი) 1961 წლიდან ეკუთვნოდა უოლიკების თანამემამულეს, „მფრინავ ბებუა“ მ. კონრადს.

## ახალგაზრდული პირველობა

მოსამზადებელი ჯგუფების ტურნირი

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ ქუთაისი | 7 | 4 | 2 | 1 | 14—8 | 10 |
| საფეხბ. სკოლა თბილისი | 7 | 4 | 2 | 1 | 8—5 | 10 |
| „დილა“ გორი | 7 | 3 | 3 | 1 | 12—9 | 9 |
| მე-2 სკოლა-ინტერნატი გლდანი | 7 | 3 | 3 | 1 | 6—3 | 9 |
| „ალაზანი“ გურჯაანი | 7 | 4 | 0 | 3 | 11—11 | 8 |
| „შრომითი რეზერვები“ თბ. | 7 | 2 | 1 | 4 | 11—13 | 5 |
| „მეტალურგი“ რუსთავი | 7 | 1 | 1 | 5 | 10—17 | 3 |
| „მეშახტე“ ტყიბული | 7 | 0 | 2 | 5 | 4—10 | 2 |

„ა“ და „ბ“ კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების რესპუბლიკური ტურნირის I ქვეჯგუფში თანაბარი ქულები დააგროვეს გორის „დილამ“ და გლდანის მე-2 სკოლა-ინტერნატმა. ამ ორ გუნდს ყველა მაჩვენებელი ერთნაირი აქვს, თანაც მათი შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 1:1.

დებულების თანახმად, ორივე გუნდის კარში დაინიშნა 5-5 პენალტი. აქ გორელებმა უკეთეს შედეგს მიაღწიეს და III ადგილიც მათ მიენიჭათ.

II ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლოკომოტივი“ თბილისი | 7 | 5 | 2 | 0 | 18—6 | 12 |
| „დინამო“ თბილისი | 7 | 5 | 1 | 1 | 14—5 | 11 |
| „დინამო“ სოხუმი | 7 | 3 | 2 | 2 | 16—10 | 8 |
| განათლ. განყოფილება თბ. | 7 | 3 | 2 | 2 | 7—4 | 8 |
| „დინამო“ ბათუმი | 7 | 2 | 3 | 2 | 5—7 | 7 |
| „კოლხიდა“ ფოთი | 7 | 2 | 1 | 4 | 12—12 | 5 |
| საფეხბ. სკოლა გაგრა | 7 | 1 | 2 | 4 | 6—18 | 4 |
| „ენგური“ ზუგდიდი | 7 | 0 | 1 | 6 | 2—18 | 1 |

# „შავი ნიღაბი“ გაიპარა

გამოჩენილი ქართველი ფალავნის ნესტორ ესებუას ცხოვრებასა და სპორტულ მოღვაწეობაზე ბევრი დაწერილა ჩვენს პრესაში. მაგრამ ალბათ ყველამ არც კი იცის, რომ ნესტორის დედას — მაღალ, ზორბა ტანის ანასტასია გრიგოლის ასულ გაგუა-ესებუას ქალისთვის უჩვეულო ძალა ჰქონდა. ახლო ნათესავები ანასტასიას ძალ-ღონის შესახებ მრავალ საინტერესო მოგონებას ინახავენ. აი, ზოგი მათგანი.

ერთხელ, 10-11 წლის ნესტორი მეზობლის ბაღში შეპარულა, ხილი დაუკრეფია და ეკალ-ბარდებში ტანსაცმელი სულ შემოხევია. ეს ამბავი ნესტორის დედის ყურამდეც მისულა. გულმოსულმა ანასტასიამ შვილი იმით დასაჯა, რომ ფეხსაცმელი გააძრო, ჯარგვალი* ასწია და წუღა ბოძსა (რომელზეც დგას ჯარგვალი) და სახლს შორის ამოსდო. „აბა, თუ ბიჭი ხარ, სცადე და ამოიღეო“.

დედის დატუქსვის შემდეგ ნესტორს ფეხსაცმლის „ტყვეობიდან“ დახსნა უცდია, მაგრამ ამაოდ. დიდი წვალების შემდეგ დედას შეხვეწნია: „ოღონდ ახლა მაპატიე, ფეხსაცმელი დამიბრუნე და ჩემს დღეში აღარ გაგაბრაზებო“.

ერთ საღამოს ნესტორმა და მისმა ტოლებმა სოფელში ნახირი მორეკეს და შინისკენ გაეშურნენ. ნესტორი ეზოში მოთამაშე და-ძმებს შეუერთდა და ციცინათელების დაჭერაში წაეშველა. დედა კამეჩს წველიდა, მაგრამ ვერაფრით ვერ მოიცილა ზაქი, რომელმაც მას პირდაპირ სული ამოართვა. ანასტასია რამდენჯერმე გაეხმაურა ნესტორს — „ზაქი მომაშორეო“, მაგრამ ბავშვების ჟივილ-ხივილში ვერ გაიგონა. მაშინ გაბრაზებულმა ანასტასიამ ზაქს ცალი ხელი ქეჩოში დაავლო, ასწია და ღობის იქით გაისროლა.

ნესტორის უფროსი და — მარიკა — დედამისივით მოსული, ჯან-ღონით სავსე, თამამი და ვაჟკაცური შემართებისა ყოფილა. ახალგაზრდობაში ჭიდაობდა და რამდენიმე თავმომწონე ყმაწვილიც კი გაუწბილებია.

*). ჯარგვალი (სამეგრელოში) ხის პატარა მორებისგან დაწნული სახლი, სადაც ინახავენ სურსათ-სანოვაგეს, ან სამზარეულო აქვთ გამართული.

## წარსულის ფურცლები

აი, ერთი ეპიზოდი: ძველ სენაკში ხშირად იმართებოდა ჯარობა, მაგრამ ხალხის სიმრავლითა და სიჭრელით ყველას სჭარბობდა ე. წ. „მარაშინა“ (მარიობა). ამ დღეს აქ მოდიოდნენ არამარტო ახლომახლო სოფლების, არამედ შორეული კუთხეების მკვიდრნიც. იმართებოდა მეტად საინტერესო და მიმზიდველი შეჯიბრებები ცხენოსნობაში, ლელობურთში, ჭიდაობაში... საჭიდაოდ, როგორც იტყვიან, მთელი მილეთის ფალავნები ჩამოდიოდნენ.

ერთ საღამოს საჭიდაო მოედანს აურაცხელი ხალხი მოაწყდა. აფიშები იტყობინებოდნენ: პროგრამით გათვალისწინებულ წყვილთა შემდეგ „შავი ნიღაბი“ საჭიდაოდ იწვევს მსურველებსო.

...ბიჭები ხეებზე ასულიყვნენ და გატაცებით დაჰყურებდნენ საჭიდაო წრეს. მაყურებელთა შორის ნესტორი და მისი და-ძმანიც იყვნენ. ახალგაზრდებს პროფესიონალთა ჭიდილი იმდენად არ აინტერესებდათ, რამდენადაც ის, თუ ვინ გაბედავდა „შავი ნიღბის“ წინააღმდეგ გასვლას. არავინ დარჩა ისეთი, ვინც თუნდაც რამდენიმე წუთს გაუძლო ამ გოლიათს. ბოლოს ჭიდაობის ორგანიზატორმა გამოაცხადა:

— ვინც „შავ ნიღაბს“ თუნდაც 5 წუთს გაუძლებს, ჯილდოდ 50 მანეთს მიიღებს.

ამ დროს მახლობელი ხიდან ციყვივით ჩამოხტა 14-15 წლის ბიჭი, ქამარი შეიხსნა და ბავშვური ხმით დაიწრიპინა:

— გამიშვით. რამ შეგაშინათ, თქვე ძაბუნებო!

როცა მოედანზე იმ ახმახის წინ მაყურებლებს გამხდარი ჭაბუკი წარმოუდგათ, გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა.

— სად მიდიხარ, ბიძია? არ ამოისუნთქოს დევმა და ხეებს არ მიგანარცხოს, — თქვა ვიღაცამ.

მაგრამ ნესტორი არ შემკრთალა. იგი ჯიქურ იდგა მოედანზე და განცვიფრებულ ფალავანს ღიმილით შეჰყურებდა.

— ერთი ამ ბალღს შეხედეთ, რა დიდი გული ჰქონია, — გაისმა ხალხში.

... ჭიდაობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ზღვა ხალხი სულგანაბული შეჰყურებდა უთანასწორო ბრძოლას. პატარა ნესტორი არც ისე მიამიტი გამოდგა: იგი კალმახივით უსხლტებოდა აბორგებულ ლომს და ისე სწრაფად და მოულოდნელად გადადიოდა შეტევაზე, რომ პირდაპირ განცვიფრებაში მოხვიდოდით. მაგრამ „ნიღაბის“ დაძლევა არც ისე იოლი საქმე გახლდათ.

— ნესტორ, თავი დაანებე. მაგას მე მოვუვლი, — წამოიძახა ნესტორის უფროსმა დამ — მარიკამ და ახლა იგი დადგა მოედნის შუაგულში.

იმ დღეს ზღვა ხალხი არაჩვეულებრივი ამბის მომსწრე გახდა. ქალიშვილი — პროფესიონალი მოჭიდავის წინააღმდეგ! „შავი ნიღაბი“ ჯერ შეცბა, უკან დაიხია, ხალხსა და ჭიდაობის ორგანიზატორებს გადახედა, თითქოს თვალებით ეკითხებოდა: „რა ვქნა, ქალიშვილს დავეჭიდო და თავი შევირცხვინოო?“.

მარიკა კი გაღიმებული იდგა. ბოლოსდაბოლოს „შავმა ნიღაბმა“ შეუტია მეტოქეს, მაგრამ გაუგონარი რამ მოხდა: მარიკამ ელვისებური ფანდით გოლიათი მიწაზე დასცა.

— ეს ქალი კი არა ქაჯი ყოფილა, თქვენი ჭირიმე, — ჩაილაპარაკა ნირწამხდარმა „შავმა ნიღაბმა“ და საჭიდაო წრიდან გაიპარა.

ამ ამბავს დღესაც სიამოვნებით იგონებენ სოფელში.

დ. გეგენავა.

## ევროპაში საუკეთესო

◆

## ბირთვი — 19,62 მ

◆

ბუდაპეშტი. მძლეოსანთა აქ გამართულ ტურნირში ევროპის 1962 წლის ჩემპიონმა, უნგრელმა ვ. ვარიუმ ბირთვი კრა 19,62 მეტრზე. ეს შედეგი კონტინენტის ახალი რეკორდია.



დუგლასის (აშშ) მიდამოებში მდებარე ტრასა უაღრესად რთული და მრავალფეროვანი იყო. საერთაშორისო ასპარეზობაში მონაწილე მოტოკროსმენთაგან იგი დიდ ოსტატობას, გამძლეობასა და საზრიანობას მოითხოვდა. აი, ამ სურათზე თქვენ ხედავთ ჰოლანდიელ ვან ჰეგტენს, რომელიც ტრასის ერთ-ერთ წინაღობას — მდინარე კორნას „შეჭიდებია“.

ფოტო ასოშიეიტედ პრესისა.

## ჰავანის ოლიმპიადის წინ

როგორც გაზეთი „ბორბა“ იუწყება, 4-23 ივლისს ტიტოვო უჟიცაში (იუგოსლავია) მოეწყობა დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

ასპარეზობაში ჩაებმებიან დიდოსტატები გლიგორიჩი, პარმა, მატანოვიჩი, ჩირიჩი, იანოშევიჩი (ყველანი — იუგოსლავია), პახმანი (ჩეხოსლოვაკია), ულმანი (გდრ), საბო (უნგრეთი), გეორგიუ (რუმინეთი), ერთ-ერთი დიდოსტატი ბულგარეთიდან (ბობოცოვი, ტრინგოვი ან პადევსკი).

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციამ ტურნირის ორგანიზატორებს აღუთქვა, რომ იუგოსლავიაში ორ დიდოსტატს გაგზავნის.

ტურნირში ითამაშებს აგრეთვე 4 ოსტატი.

ეს ასპარეზობა იუგოსლაველთათვის ბოლო რეპეტიცია იქნება ჰავანის საჭადრაკო ოლიმპიადის წინ.

▲ ვარშავა. ტოკიოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ა. ბადენსკიმ 400 მეტრი 45,8 წამში გაირბინა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს ევროპაში.

▲ ტურინი. იტალიის მძლეოსანთა შეჯიბრებაში ახალგაზრდა რ. დიონისიმ ჭოკით ხტომაში თავისი ქვეყნის ახალი რეკორდი დაამყარა — 494 სმ.

▲ ტოკიო. ქალაქ ოცუში „მაინიტის“ ტრადიციულ მარათონში გაიმარჯვა 20 წლის ი. მიფუნიმ — 2:26.01,6. მან უკან მოიტოვა 58 სპორტსმენი, მათ შორის, ყველა ცნობილი იაპონელი სტაიერი.

▲ ბუქარესტი. რუმინეთის ტყვიის მსროლელთა ღია ჩემპიონატში რსფსრ-ს სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. აქ მათ ოქროს 7, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს 4 მედალი დაისაკუთრეს. ნებისმიერი პისტოლეტით სროლაში ვ. სტოლიპინმა 3 ქულით გააუმჯობესა მსოფლიოს ოფიციალური რეკორდი — 600-დან 569 ქულა მოაგროვა.

▲ მეხიკო. აქ გაიმართა ნახევარფინალური მატჩი დევისის თასზე. ერთმანეთს შეხვდნენ მექსიკისა და არგენტინის ჩოგბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს მექსიკელებმა (4:1) და ფინალში გავიდნენ.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.